

# დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში პჯდ სამედიცინო მომსახურების ხარისხის მართვის ცენტრის (ე.წ. „ჰაბის“) ხედვა, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

## შინაარსი

შესავალი .....	2
პროექტის ხედვა .....	4
პროექტის განხორციელების სტრატეგია .....	5
პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა.....	8

## შესავალი

COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სამედიცინო მომსახურება პირველად ჯანდაცვაში, რის ფონზეც ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა რუტინული მეთვალყურეობის ვიზიტების რაოდენობა პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში.

UNICEF-ის მიერ მომზადებული „პანდემიაზე რეაგირების მოკლე ანგარიშის“<sup>1</sup> თანახმად 2020 წლის ნოემბრის მონაცემებით, 87 ქვეყანაში, COVID19-ით ინფიცირებული 25.7 მილიონი ადამიანიდან 11% 20 წლამდე ასაკის ბავშვები და მოზარდები იყვნენ. 12 თვის განმავლობაში, მომსახურების შეწყვეტის ყველაზე უარესი სცენარის და არასრულფასოვანი კვების შემთხვევების ზრდის პირობებში, 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეიძლება გაიზარდოს დაახლოებით 2 მილიონით, ხოლო მკვდრადშობადობა 200,000-ით. 2020 წელს, დამატებით 6–7 მილიონმა 5 წლამდე ასაკის ბავშვმა შეიძლება განიცადოს გამოფიტვა ან მწვავე არასრულფასოვანი კვება, რაც ამ მაჩვენებლის 14 პროცენტთან ზრდას ნიშნავს და შეიძლება თვეში დამატებით 10,000–ზე მეტი ბავშვის სიკვდილი გამოიწვიოს - უმეტესად საჭარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში და სამხრეთ აზიაში.

ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების დაახლოებით 70 პროცენტი ფერხდება.

141 ქვეყნის მონაცემების საფუძველზე იუნისეფის მიერ შემუშავებული უახლესი ანგარიში აჩვენებს, რომ ქვეყნების დაახლოებით მესამედს აქვს მინიმუმ 10 პროცენტის ვარდნა რუტინული ვაქცინაციის, ბავშვთა ინფექციური დაავადებების ამბულატორიული მკურნალობისა და დედების ჯანმრთელობის დაცვის სერვისებში.

COVID-19 -ის პანდემია ასევე იწვევს მწვავე კრიზისს ადრეული ასაკის ბავშვებზე ზრუნვის და მათი სასწავლო პროცესის მიმართულებით. მსოფლიოში, სულ მცირე, 40 მლნ ბავშვი მოკლებულია ადრეულ ასაკში ზრუნვას და განათლებას, რადგან COVID-19-მა უარყოფითი გავლენა იქონია ადრეული ასაკის ბავშვებზე ზრუნვის და განათლების დაწესებულებებზე. ადრეული კრიტიკული წლების განმავლობაში ბავშვებს სჭირდებათ რეაქციული ზრუნვა, ადეკვატური ნუტრიცია, სტიმულირება და დაცვა სოციალური, ემოციური და კოგნიტიური უნარების გასავითარებლად.

ჩვენი ბავშვების დასაცავად გაეროს 172 წევრი ქვეყნის მტკიცე დაპირებაზე დამყარებული ექვსპუნქტიანი გეგმა<sup>2</sup> მოიცავს გადაუდებელ ღონისძიებებს პანდემიის ყველაზე უარყოფითი ზემოქმედების შესარბილებლად. ამ გეგმის თანახმად გაეროს ბავშვთა ფონდი პარტნიორებს მოუწოდებს უზრუნველყონ თითოეული ბავშვის წვდომა ჯანდაცვის და ნუტრიციულ სერვისებთან, ხელი შეუწყონ ვაქცინების ფინანსური და ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, დაიცვან ბავშვების და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობა და უზრუნველყონ ბავშვების მიმართ ძალადობის, გენდერული ძალადობის და უყურადღებო დამოკიდებულების აღმოფხვრა.

ამ გლობალური კრიზისის პირობებში, რა თქმა უნდა საქართველოს ჯანდაცვის სისტემისთვისაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების უწყვეტობის შენარჩუნება და ყველა ბავშვისთვის ამ სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა.

### **პროექტის მიზანი:**

მოცემული პროექტი: „ყველა ბავშვის მოცვა უწყვეტი და ხარისხიანი პჯდ სერვისებით საქართველოში“, რომელსაც ახორციელებს ჩეხეთის კარიტასი საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური მხარდაჭერით, მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით ამბულატორიული და პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების პროცესში არსებული გამოწვევების (კერძოდ, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები, რომლებიც ართულებს სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის ბაზისური სერვისების მიღების შესაძლებლობას, ექიმ-სპეციალისტებსა და სოფლის ექიმებს შორის რეფერალური კავშირების სისუსტე და პაციენტის მართვის პროცესის ფრაგმენტაცია, პანდემიასთან დაკავშირებული გამოწვევები) გადაჭრას ტელემედიცინის მოდელების დანერგვით და, ასევე, ამ მიმართულებით პირველადი ჯანდაცვის პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერებას.

### **პროექტის ამოცანებია:**

- \* UNICEF-ის მხარდაჭერით შემუშავებული “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის“ ელექტრონული მოდულის შემდგომი სრულყოფა და დანერგვა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ პჯდ დაწესებულებებში, მოდულის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოების პარალელურად.
- \* დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დისტანციური სერვისების მოდელის გამოცდა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ სოფლის პჯდ დაწესებულებებში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ციფრული ჯანდაცვის საუკეთესო პრაქტიკის ნიმუშის შექმნის გზით.
- \* პილოტირების შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზი და მათ საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ციფრული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის როლი სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით დღითი დღე იზრდება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი გაიდლაინი, რომელიც 2019 წლის აპრილში გამოიცა<sup>3</sup>, აკონკრეტებს ტელემედიცინის სახეებსა და მათი განხორციელების გზებს ჯანდაცვის სისტემის ყველა დონეზე, მ.შ. პირველად ჯანდაცვაში. გაიდლაინში ხაზგასმულია ციფრული ტექნოლოგიების და ტელემედიცინის როლი სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

## პროექტის ხედვა

ადრეული ასაკის (0-6 წლის) ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ბაზაზე შეიქმნება ხარისხის გაუმჯობესების ცენტრი („ჰაბი“), რომლის ხელმძღვანელობით გამხორციელდება UNICEF-ის მხარდაჭერით შემუშავებული “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის” ელექტრონული მოდულის შემდგომი სრულყოფა და დანერგვა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 50 პჯდ დაწესებულებასა და საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში, მოდულის ანალიტიკური შესაძლებლობების გაფართოების პარალელურად.

სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების „ჰაბი“ წარმოადგენს პირველადი ჯანდაცვის კვალიფიციური ექსპერტების გუნდს, რომლებიც მეთვალყურეობას გაუწევენ ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო დახმარების ხარისხს ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში და უზრუნველყოფენ ხარისხის გაუმჯობესებას ტელემედიცინის ბაზისური პრინციპების გამოყენებით.

პროექტის შედეგად მოსალოდნელია 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის გაუმჯობესება შერჩეულ საპილოტე დაწესებულებებში.

პროექტის შედეგების ქვეყნის მასშტაბით გავრცელებისა და ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, მოხდება ხარისხის გაუმჯობესების ინსტრუმენტების გამოცდის შედეგების გაზიარება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, რათა შეიქმნას შესაბამისი რეგულაციური მექანიზმები პირველად ჯანდაცვაში სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ორიენტირებული ბავშვთა ჯანმრთელობის სერვისების დანერგვის მიზნით.

ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის ძირითადი ფუნქციები მდგომარეობს შემდეგში:

- პირველად ჯანდაცვაში 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორების შემუშავება და პერიოდული გადახედვა;
- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის კლინიკური პრაქტიკის სტანდარტების (პროტოკოლების, გაიდლაინების, სტანდარტული ოპერაციული პროცედურების) დანერგვის უზრუნველყოფა;
- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ელექტრონული საინფორმაციო სისტემის განვითარების ხელშეწყობა ზემოთ აღნიშნული მოდულის დანერგვის, მონაცემთა მოგროვების და ანალიზის საშუალებით;

- პჯდ პროფესიონალების რესურსების გაძლიერება ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაში ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიების გამოყენებისა და ტელეკონსულტაციების დანერგვის თვალსაზრისით;
- სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა;
- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის ტესტირების შედეგების მიმოხილვა, გასაუმჯობესებელი ამოცანების იდენტიფიცირება და გაუმჯობესების აქტივობების კოორდინაცია;
- პჯდ სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში ტრენინგების უზრუნველყოფის გზით;
- ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ საპილოტე პჯდ დაწესებულებებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის რეგულარული მხარდამჭერი სუპერვიზია 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის დანერგვისა და ტელეკონსულტაციების განხორციელების თვალსაზრისით.
- ზემოთ აღნიშნული ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების რეგულარული შეჯამება, ანგარიშგება და ხარისხის გაუმჯობესების პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფა.
- ბავშვის განვითარების დარღვევების ადრეული იდენტიფიკაციისკენ მიმართული ღონისძიებების სრულყოფისა და კოორდინაციის ხელშეწყობა, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (როგორცაა პროფესიული ასოციაციები, ბავშვთა განვითარების ცენტრები, სოციალური სააგენტოები, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო) თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარების გზით.

## პროექტის განხორციელების სტრატეგია

საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ბაზაზე შექმნილი ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის სტრატეგია მოიცავს მრავალმხრივ აქტივობებს, როგორც უშუალოდ ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობის კლინიკური პროცესების ხარისხის გაუმჯობესების, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კოორდინაციისა და რეკომენდაციების გაზიარების სახით.

ბავშვის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია განვითარების დარღვევების დროული იდენტიფიცირება და შესაბამისი ჩარევა. პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალს გადამწყვეტი როლი შეუძლია შეასრულოს ამ მიმართულებით. საერთაშორისო ავტორიტეტული წყაროები რეკომენდაციას იძლევიან, ბავშვის განვითარებაზე ზედამხედველობა ჩატარდეს ყველა პრევენციულ ვიზიტზე, ადრეული ასაკიდან მოზარდობის პერიოდამდე, რაც უნდა მოიცავდეს განვითარების სრულფასოვან შეფასებას<sup>4</sup>. პირველად ჯანდაცვაში განვითარების სკრინინგის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობაზე ზრუნვის სხვადასხვა ორგანიზაციებთან (როგორცაა, მაგალითად, განვითარების ცენტრები, შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დამხმარე არასამთავრობო ორგანიზაციები, სხვადასხვა პროფესიული ასოციაციები) მჭიდრო თანამშრომლობა.

განვითარების სკრინინგისთვის განკუთვნილი ტესტები ხშირად პჯდ პერსონალის დიდ დროს მოითხოვს, რაც მათი განხორციელების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება. ამავე დროს, სტანდარტული სკრინინგული ტესტების გამოყენება (როგორცაა მაგალითად, M-CHAT, ASQ და სხვა) განვითარების დარღვევის ადრეული იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა, ხოლო ბავშვის დროული რეფერალი სკრინინგის დროს აღმოჩენილი საეჭვო დარღვევის შემთხვევაში თავიდან გვაცილებს მოგვიანებით პერიოდში განვითარებულ შეუქცევად დარღვევას.

შესაბამისად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის” ელექტრონული მოდულის დანერგვა, მასში ინტეგრირებული სკრინინგული კითხვარებით მნიშვნელოვნად გააადვილებს პჯდ პერსონალის მიერ სტანდარტული სკრინინგის ჩატარებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ამ მოდულის დახმარებით განხორციელებული შესაბამისი სპეციალისტის ტელეკონსულტაცია შემაჯობებს სერვისის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემას.

პროექტის ფარგლებში ტელემედიცინის ბაზისური მოდელის გამოყენება, როდესაც სოფლად დასაქმებულ ოჯახის ექიმს ექნება დისტანციური კომუნიკაციის შესაძლებლობა სპეციალისტთან (მაგ. კოლეგა ოჯახის ექიმი, ბავშვთა განვითარების ღრმა შეფასების სპეციალისტი, ნევროლოგი, ფსიქიატრი და სხვა, როდესაც „მეორე მოსაზრების“ (second opinion) საჭიროება უჩნდება) გააიოლებს მთელი რიგი დარღვევების დიაგნოსტიკას და ოჯახის ექიმს საშუალებას მისცემს მეტად ორგანიზებულად მიმართოს ბავშვი ექიმ-სპეციალისტთან. ეს, ასევე, ხელს შეუწყობს განვითარების დარღვევების მართვის პროცესში მიმდინარე მეთვალყურეობას, უკუკავშირს, ასევე, საინფორმაციო დოკუმენტაციის გაცვლას.

ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგიის ფარგლებში იგეგმება:

1. პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალების კომპეტენციების გაძლიერება ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის მიზნით ელექტრონული ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის გამოყენების მიმართულებით,
2. პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში არსებული კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების (პროტოკოლებისა და გაიდლაინების) დანერგვის გზით და
3. მათი საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შექმნის ხელშეწყობა.

პროექტის მიზნის მისაღწევად საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტების მიერ განხორციელდება შემდეგი აქტივობები:

- 0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის ინდიკატორების შემუშავება და სტანდარტების განსაზღვრა;
- 0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOP) შექმნა და დანერგვა;
- საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტების (ტრენერების) მომზადება ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ 50 პჯდ დაწესებულებასა და საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრში დასაქმებული პჯდ პერსონალისთვის ტელეკონსულტირების ელექტრონული მოდულის გამოყენებისა და მისი მეშვეობით ბავშვთა ჯანმრთელობა/განვითარებაზე მეთვალყურეობის განხორციელების საკითხებში;
- 0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის არსებული პრაქტიკის შეფასება და ხარვეზების იდენტიფიცირება პროექტის საპილოტე დაწესებულებების შერჩეულ ნაწილში;
- ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესები მიზნით “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის” ელექტრონული მოდულის დანერგვა პროექტის საპილოტე დაწესებულებებში;
- შერჩეული საპილოტე დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება “0-6 წლის ბავშვის ზრდასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის” გამოყენებისა და ტელეკონსულტირების საკითხებში ტრენინგის გზით;
- ქვეყნის მასშტაბით შერჩეული 50 სამედიცინო დაწესებულების პჯდ პერსონალის რეგულარული მხარდამჭერი სუპერვიზია და კლინიკური საქმიანობის მონიტორინგი 0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის კუთხით;
- სპეციალისტების მომზადება ქვეყნის მასშტაბით შერჩეული 50 საპილოტე პჯდ დაწესებულების ბენეფიციარებისთვის ტელეკონსულტირების ჩატარების მიზნით.

პროექტის განხორციელების სამოქმედო გეგმა

აქტივობა	მიზანი	აღწერა	დრო
1. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის/პჯდ სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის ხედვის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება	ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის საქმიანობის აღწერილობის მკაფიო და ყოვლისმომცველი სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება	დოკუმენტის ძირითადი ნაწილების შეთანხმება განხორციელდება საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტთა გუნდის წევრებს შორის, განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები	2022 წლის 1 ივლისი - 2022 წლის 30 სექტემბერი
2. პჯდ-ში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისთვის სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOPs) შემუშავება	დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემისა და ტელემედიცინის ბაზისური მოდელის განხორციელების საფუძვლის შექმნა	საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტების/კონსულტანტების მიერ მოხდება სტანდარტული ოპერაციული პროცედურების (SOPs) შემუშავება და შეთანხმება საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრის პჯდ პერსონალთან	2022 წლის 1 ივლისი - 2022 წლის 30 სექტემბერი
3. პჯდ ეროვნული და ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი ინდიკატორების შემუშავება ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის კლინიკური პროცესებისა და გამოსავლებისთვის	მტკიცებულებებზე დაფუძნებული საუკეთესო კლინიკური პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა პჯდ-ში ადრეული ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზედამხედველობის საკითხებში	საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტების/კონსულტანტების მიერ მოხდება ხარისხის გაუმჯობესების ძირითადი ინდიკატორების შემუშავება ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის კლინიკური პროცესებისა და გამოსავლებისთვის და მათი გაზიარება დაინტერესებული მხარეებისთვის	2022 წლის 1 ივლისი - 2022 წლის 30 სექტემბერი
4. საქართველოს მასშტაბით შერჩეული 50 პჯდ დაწესებულების კლინიკური საქმიანობის მონიტორინგი	შერჩეული პჯდ დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერი მეთვალყურეობა 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე	ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის ფარგლებში გადამზადებული კლინიკური ექსპერტები მოახდენენ ელექტრონული მოდულის მეშვეობით მიღებული მონაცემების ანალიზს და გაზიარებას დაინტერესებული მხარეებისთვის. აწარმოებენ შერჩეული 50	2022 წლის 1 ივლისი - 2022 წლის 30 სექტემბერი



	მეთველყურეობის ელექტრონული მოდულის გამოყენების დანერგვის მიზნით და მიღებული მონაცემების ანალიზი	პჯდ დაწესებულების მედპერსონალთან რეგულარულ ონლაინ შეხვედრებს, არსებული პროგრესის შეფასებას, ხარვეზების გამოვლენას და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას მათი გადაჭრის მიზნით	
5. დედათა დაბავშვთა ჯანმრთელობის სამედიცინო სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ჰაბის რესურსების გაძლიერება 0-6 წლის ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის გამოყენებისა და დისტანციური პედიატრიული კონსულტაციის კლინიკური პროტოკოლების/გაიდლაინების დანერგვის მიზნით	სამედიცინო პერსონალის რესურსის შექმნა, რომელიც გადაამზადებს ქვეყნის მასშტაბით შერჩეული პჯდ დაწესებულებების პროფესიონალებს	საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტი/კონსულტანტები შეიმუშავებენ ტრენერთა სწავლების(ToT) პროგრამას ოჯახის ექიმი მასწავლებლებისთვის, რომლებიც გადაამზადებენ ქვეყნის მასშტაბით შერჩეული 50 საპილოტე პჯდ დაწესებულების სამედიცინო პერსონალს 0-6 წლის ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის გამოყენებისა და დისტანციური პედიატრიული კონსულტაციის კლინიკური პროტოკოლების/გაიდლაინების დანერგვის მიზნით	2022 წლის 1 სექტემბერი - 2022 წლის 30 ნოემბერი
6. შერჩეული 50 პჯდ დაწესებულების სამედიცინო პერსონალის ტრენინგი 0-6 წლის ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის გამოყენებასა და დისტანციური პედიატრიული კონსულტაციის წარმართვაში	შერჩეული 50 პჯდ დაწესებულების ბენეფიციარი 0-6 წლის ბავშვთა კონტინგენტისთვის 0-6 წლის ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონული მოდულის გამოყენება და საჭიროებისას დისტანციური კონსულტაციის შესაძლებლობის შექმნა	საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტი/კონსულტანტები შეიმუშავებენ სასწავლო პროგრამას შერჩეულ 50 პჯდ დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის და გადაამზადებული ტრენერების მეშვეობით განახორციელებენ მათ ტრენინგს	2022 წლის 1 ნოემბერი - 2022 წლის 31 დეკემბერი

<p>7. შერჩეული 50 პჯდ დაწესებულების ბენეფიციარი 0-6 წლის პედიატრიული კონტინგენტისთვის დისტანციური კონსულტაციის წარმართვაში ტრენირებული სპეციალისტების მომზადება</p>	<p>პედიატრიული დისტანციური კონსულტაციის წარმართვა საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის მიერ</p>	<p>საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ექსპერტი/კონსულტანტები შეიმუშავენ სასწავლო პროგრამას ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობისას გამოვლენილი პრობლემების დროს მეორე აზრის მოძიების მიზნით შესაბამისი სპეციალისტებისთვის (მაგ.: ბავშვთა ნევროლოგი, ფსიქიატრი და ა. შ.), რათა მოხდეს მათი მომზადება დისტანციური კონსულტაციის წარმართვისთვის</p>	<p>2023 წლის 1 იანვარი - 2023 წლის 28 თებერვალი</p>
---	---	--	---

## გამოყენებული ლიტერატურა

---

<sup>1</sup> თავიდან ავიცილოთ დაკარგული COVID თაობის გაჩენა; United Nations Children’s Fund (UNICEF), November 2020: <https://www.unicef.org/georgia/media/5811/file/Global%20Report%20GE.pdf>

<sup>2</sup> A six-point plan to protect our children; UNICEF: <https://www.unicef.org/coronavirus/six-point-plan-protect-children>

<sup>3</sup> WHO guideline: recommendations on digital interventions for health system strengthening. Geneva: World Health Organization; 2019 (<https://apps.who.int/iris/handle/10665/311941>).

<sup>4</sup> Paul H. Lipkin, MD, FAAP; Michelle M. Macias, MD, FAAP et al: Promoting Optimal Development: Identifying Infants and Young Children With Developmental Disorders Through Developmental Surveillance and Screening, *Pediatrics* (2020) 145 (1): e20193449:

<https://publications.aap.org/pediatrics/article/145/1/e20193449/36971/Promoting-Optimal-Development-Identifying-Infants?autologincheck=redirected>